ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ **გიორგი ახვლედიანს**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრის ისნის რაიონის 05-08 ოლქის მაჟორიტარი დეპუტატის

ილია ჯიშკარიანის 2021 წლის ანგარიში

ილია ჯიშკარიანი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი მოწვევის მაჟორიტარი წევრი. 2020 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე ჩატარებული გვაქვს საკრებულოს 22 სხდომა , მიღებული გვაქვს 547 განკარგულება და 111 დადგენილება (საპატიო მიზეზის გამო გავაცდინე 3 სხდომა), სატრანსპორტო საკითხთა კომისიის (ჩატარებულია 20 სხდომა განხილულია 60 საკითხი) და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის (ჩატარებულია 14 სხდომა განხილულია 22 საკითხი) წევრი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-"ს (ჩატარებულია 16 სხდომა განხილულია 25 საკითხი) წევრი.

კოვიდ პანდემიისა და მასთან დაკავშირებული ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით ჩემი წარმომადგენლობა აგრძელებს ყოველდღიურ რეჟიმში ფუნქციონირებას მისამართზე: ვაჟა ივერიელის 3 ა (ყოფილი საბადურის ქუჩა) , ტელეფონი 2 00 62 22, მოქალაქეებს შეუძლიათ მოგვმართონ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 9^{00} -18^{00} საათებში, რაიონის მოსახლეობის მიღება ხდება ყოველგვარი წინასწარი ჩაწერისა და რიგის გარეშე. 2020 წელს წარმომადგენლობას მომართა 137 მოქალაქემ. რომელთაც ჩემი და ჩემი წარმომადგენლობის თანამშრომლების (თითოეული კურირებს რაიონში არსებულ პრობლემატურ საკითხთა ცალკეულ სფეროს) მიერ გაეწიათ კომპეტენტური და კვალიფიციური კონსულტაცია, რეკომენდაცია და შუამდგომლობა. გაგზავნილია 15 შუამდგომლობა, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის, დედაქალაქის მერიის, და ისნის რაიონის გამგებლის სახელზე - მათ შორის: 11 შუამდგომლობა ოპერაციის , მკურნალობის, კვლევების, და მედიკამენტების დაფინანსებაზე, 3 - მიზნობრივად ფინანსური დახმარების გაწევაზე, 1 - გამრიცხველიანებაზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობით, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" და ჩემი წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ერთობლივად განხორციელებული საქველმოქმედო აქტი პანდემიით გამოწვეული კარანტინის დროს, საახალწლოდ 51 მრავალშვილიანი ოჯახისთვის პროდუქტების და პირბადეების მიწოდება. დისტანციურად მუშაობის დროს უპასუხოდ და რეაგირების გარეშე არ დარჩენილა ცხელ ხაზზე შემოსული არც ერთი მოქალაქის ზარი. გარდა ამისა წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ შეძენილი სურსათი და პირველადი

საჭიროების ნივთები მიეწოდა მარტოხელა მოხუცებს, შშმ პირი ბავშვების ოჯახებს. ასევე თელავის ქუჩა 51/53 -ში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა ბავშვებს გაეგზავნათ წარმომადგენლობაში შეგროვებული ტანსაცმელი და სათამაშოები.

რაიონის მოსახლეობა ძირითადად მოგვმართავს ისეთი პრობლემებით როგორიცაა: ავარიული სახლები და გაუმართავი ინფრასტრუქტურა; სოციალური გაჭირვება და ჯანდაცვა; განთლება და დასაქმება; საკუთრების დაკანონება, აღიარება, ლეგალიზება; შეიარარებული ძალების მოქმედი და ვეტერანი სამხედროების ძველი ე.წ. საუწყებო ბინების დაკანონება.

ჩემი და ჩემი წარმომადგენლობის თანამშრომლების ყოველდღიური შრომის შედეგად, რომელიც ძალიან მჭიდრო კავშირშია რაიონულ გამგეობასთან, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან , ქალაქის წყალმომარაგების კომპანიასთან (GWP) და სხვა, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში განხორციელდა მიწისქვეშა კომუნიკაციების და გზების რეაბილიტაცია, ასევე მოეწყო სკვერები და მოედნები, ფიტნეს ზონები, გამაგრდა კედლები და დამონტაჟდა კიბეები:

N	საგზაო სამუშაოები
1	ქ. წამებულის გამზირი #25-ის ეზო
2	ნავთლუღის XIII ქუჩა და ნავთლუღის დასახლება VIII შესახვევი
3	ნავთლუღის დასახლება VIII შესახვევი
4	კონსტანტინე ერისთავის ჩიხი
5	აწყურის ქუჩა
6	შირაქის ქუჩა #14
7	ონიანის ქუჩა
8	კ ერისთავის ქუჩა #5 მიმდებარედ
9	მაჭრის შესახვევი
10	ალადაშვილის შესახვევი მარტყოფის ქუჩიდან ერისთავის ქუჩამდე
11	ყვარლის ქუჩა კორპუსი #101 ეზო
12	ყვარლის ქუჩა კორპუსი #88
13	ანდღულაძის ქუჩა

14	ე. ონიანის ქუჩა
15	პაპიაშვილის ქუჩა გუჯარეთის 1 ქუჩიდან გუჯარეთის მე-2 ქუჩამდე
16	კახეთის გზატკეცილი კორპუსი #7
17	ონიანის ქუჩა
18	რომან გვენცაძის ქ #31
19	მელაანის II შესახვევის ჩიხის მიმდებარედ
20	კასპის ქუჩა
21	ლეხ კაჩინსკის ქ #11-ის ეზო
	სკვერები და მოედნები
22	ქ წამებულის გამზირი #25
23	აწყურის ქუჩა #9
24	შორაპნის ქ #2
25	ერევნის სკვერი
26	ლეხ კაჩინსკის ქუჩა #10/3 მიმდებარედ
27	ახალუბნის ქუჩა #19ა მიმდებარედ
28	კახეთის გზატკეცილი 36-ვ მიმდებარედ
	სპორტული მოედნები და ფიტნეს ზონები
29	ახალი უბნის ქუჩა #19ა-ს მიმდებარედ
30	ჯორჯ ბუშის ქუჩა მე-5 შესახვევია კორპუსი #120 მიმდებარედ
31	ბოჭორმის ქუჩა N21-ის მიმდებარედ
32	ტოლენჯისა და წალენჯიხის ქუჩების კვეთა
33	ახალუბნის ქუჩა N19ა
	რკინა-ბეტონის კედლები
34	მე-2 გუჯარეთის ქუჩა N28 მიმდებარედ

35	მელაანის მე-3 შესახვევი N28
36	ყვარლის ქუჩა N83
37	ახალუბნის ქუჩა N19ა
	კიბეები
38	მე-2 გუჯარეთის ქუჩა #10 მიმდებარედ
39	წალენჯიხის ქუჩა #6-16 მიმდებარედ
40	ჯანელიძის ქუჩა #47 მიმდებარედ

თვითმმართველობის როლის გასაძლიერებლად და რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად ყოფნის 7 წლიანი გამოცდილების საფუძველზე ვფიქრობ სამომავლოდ კარგი იქნება ინფრასტრუქურული პროექტების განხორციელებასთან, ტრანსპორტის განახლებასთან და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობასთან ერთად, რომელიც გაზრდის ჩვენი რაიონის ტურისტულ პოტენციალს, ვფიქრობ საჭიროა მცირე მეწარმეების (რომლებიც მრავლად არიან წარმოდგენილნი ჩემს სამაჟორიტარო ოლქში) მეტი ხელშეწყობა, რასაც მოყვება სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიური განვითარება. ყურადღება მისაქცევია შეიარაღებული ძალების ვეტერანების ყოფა-ცხოვრება, ვფიქრობ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ძალების ვეტერანი წარმომადგენლები საჭიროებენ მეტ დაფასებასა და გვერდში დგომას. ჯანმრთელი ცხოვრების წესის დმკვიდრებისთვის და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის - მეტი გამწვანება და საზოგადოებრივი თავშეყრისა და დასვენების ადგილების, პარკებისა და სკვერების მოწყობა. ჯანდაცვისა და სოციალური პრობლემების გაუმჯობესებისთვის და იმ ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, როცა თითქმის 2 წელია გვიწევს პანდემიასთან თანაცხოვრება, ჯანმრთელობის სამინისტროს და სრულიად ქვეყნის მედპერსონალს კი ყოველდღიური ბრძოლა ადამიანების გადასარჩენად, ვფიქრობ კარგი იქნება სოციალური სტატუსის მინიჭების უფლება დაუბრუნდეს რაიონულ გამგეობებს. რაიონის გამგეობა უკეთ იცნობს მისი მოსახლეობის ცხოვრების დონეს, მეტად ჩართულია მათი პრობლემების მოგვარებაში, ზუსტად იცის მათი წუხილი და ისევე როგორც რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს აქვს მონიტორინგის მეტი საშუალება.

პატივისცემით,